



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 7/56

2022 წლის 28 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების („ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილების ცვლილების) მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2022 წლის 14 მარტს შპს „კორსას“ დირექტორმა ნოდარ კორსანტიამ განცხადებით მომართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა შოთა მეგრელიშვილის სანაპირო №30-ში (ს/კ 04.02.08.971) მშენებარე, საპროექტო სავაჭრო ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში, მოცემული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების მართვის რეგლამენტის (დანართი 3) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში არსებული განაშენიანების დეტალური გეგმით კ-1 მაქსიმალური კოეფიციენტი 0,6. შემდგომში ინვენსტიციის მოზიდვისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით შპს „ლუკა“-ს ესაჭიროება განაშენიანების დეტალური გეგმით კ1-თ არსებული 0,6 კოეფიციენტი შეიცვალოს კ1 0,7 კოეფიციენტით.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების დანართი №1-ს შესაბამისად ცენტრის ზონა, შერეული ზონა (შზ-2) წარმოადგენს 0,5-დან 0,7 კ1 კოეფიციენტებს. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორ სტადიად: ა) I სტადია - გენერალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება; ბ) II სტადია - გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობით გეგმებში ცვლილება შევა ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით. ამასთან აღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გენერალურ გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში I სტადია არ ხორციელდება. შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად წარმოადგენს არაარსებით ცვლილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ხორციელდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის საქართველოს სივრცის დაგეგმარების,

არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, არსებითი ცვლილების გარეშე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ხსენებული დადგენილების ცვლილების პროექტის დამტკიცების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულიყო მე- II სტადიიდან. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის, №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 და მე-20 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად.

#### **მუხლი1.**

დაწყებულ იქნას ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

#### **მუხლი2.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის №27/28 დადგენილებაში შესატანი ცვლილების საჯარო განხილვის (ზეპირი მოსმენის ჩატარებით ან/და ელექტრონული ფორმით), სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვის, აღნიშნულის საფუძველზე, საბოლოო პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა და ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარება კომპეტენციის ფარგლებში.

#### **მუხლი3.**

განკარგულება ძალაშია 2022 წლის 28 ივნისიდან.

#### **მუხლი4.**

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3)

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყებუჩავა